განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება დაკავშირებულია სასამართლოს მიერ დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის (კერძოდ, სასამართლოს მიერ მამობის დადგენის) დადგენის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების სრულყოფასა და იმ ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრასთან, რაც უმეტეს შემთხვევაში მსგავს საკითხებზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემაფერხებელი გარემოება ხდება. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედი რედაქციის მიხედვით მამობის დადგენისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების შემთხვევები, ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდის ან რჩენის სხვა გარემოებები. თუმცა, როგორც შესაბამის საქმეთა წარმოების პრაქტიკამ ცხადყო უმეტეს შემთხვევაში ზემოაღნიშნული ფაქტებისა და გარემოებების დადგენა სასამართლოს მიერ შეუძლებელი ხდება, რაც თავის მხრივ აფერხებს სასამართლოს მიერ მამობის დადგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული კი მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას სასამართლოს მიერ დამატებით სხვა ინფორმაციისა და მტკიცებულებების მოძიების აუცილებლობას განაპირობებს, რომელიც დაეხმარება მას გადაწყვეტილების მიღებაში. სწორედ აღნიშნულ საკითხების რეგულირებას შეეხება მომზადებული კანონპროექტი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია შექმნას სათანადო სამართლებრივი საფუძველი და განსაზღვროს ის დამატებითი მექანიზმები, რომელიც დაეხმარება სასამართლოს უზრუნველყოს დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის (კერძოდ, მამობის დადგენის) საკითხის განხილვა-გადაწყვეტა, ასევე უზრუნველყოს შესაბამის პროცესში ბავშვის ინტერესის გათვალისწინება და დაცვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით საქართველოს სამოქალაქო კოდექსს ემატება ნორმა, რომლის მიხედვით სასამართლოს მიერ დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის (კერძოდ, მამობის დადგენის) **საკითხის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევის შედეგებს.**

როგორც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით ბავშვის მამობის დადგენისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების შემთხვევები ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდის ან რჩენის სხვა გარემოებები. თუმცა უმეტეს შემთხვევაში მსგავსი ფაქტების დადგენა სასამართლოს მიერ შეუძლებელი ხდება, რაც აფერხებს მსგავს საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნულის გათვალისწინებით უცხოეთის ცალკეული ქვეყნების (აშშ, გერმანია და ა.შ.) საკანონმდებლო გამოცდილების გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსს ემატება ნორმა, რომლის მიხედვით დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის (კერძოდ, მამობის დადგენის) საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება სავარაუდო მამის ბიოლოგიური (გენეტიკური, დნმ-ის) ან ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევის შედეგები. ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული საფუძვლით მამობის დადგენა შეუძლებელი იქნება სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის თაობაზე განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების შემთხვევებს ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს.

პროექტის მიხედვით ბავშვის მამობის დადგენის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება ეგზავნება (წარედგინება) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესაბამის ორგანოს და კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით რეგისტრაციის ორგანოს ჩანაწერებში ბავშვის მამის თაობაზე მიეთითება შესაბამისი მონაცემი. ამასთან, პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის თაობაზე შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მამობის დადგენის პროცესში ბავშვის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, პროექტის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსს ემატება ასევე ნორმა, რომლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია უარი თქვას მამობის დადგენაზე, თუ ასეთი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილსი ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთათვის რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ცალკეულმა სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ქსელის“ ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ცალკეული სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი რუსუდან კერვალიშვილი